პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 272 (10048) | ოთხშაბათი, 17 ნოემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მზესუმზირას დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა შეასრულეს (1-ლი გვერდი).

ვ. სიხარულიძე. — უზრუნველვყოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულება (მე-2 გვერდი).

გ. მინდაძე. — სუბტროპიკული კულტურები კასპიის ზღვის სანაპიროებზე (მე-2 გვერდი).

პრესის მიმოხილვა. — საქმის ცოდნით, ეფექტიანად ვაშუქოთ პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები (მე-2 გვერდი).

ა. ცქიტიშვილი. — ელექტროენერგიის მომჭირნეობა სახალხო მნიშვნელობის საქმეა (მე-3 გვერდი).

წერილები რედაქციას (მე-3 გვერდი).

გ. ხეჩუაშვილი. — შემოქმედებითი [illegible] გამოფენა (მე-3 გვერდი).

ა. კუსრაშვილი. — სტუდენტთა საერთაშორისო დღე (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).

თბილისი. — ქალაქის ქრონიკა (მე-4 გვერდი).

რაიონული გაზეთი და მისი აქტივი

ამჟამად, როცა კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი წყვეტენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისა და სურსათისა და სახალხო მოხმარების საგნების სიუხვის შექმნის ისტორიულ ამოცანას, კიდევ უფრო იზრდება საბჭოთა პრესის, ყველაზე მასობრივი მისი რაზმის — რაიონული გაზეთების როლი და მნიშვნელობა.

რაიონული გაზეთების წინაშე მდგომ ამოცანებს შორის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი და პასუხსაგებია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ენერგიული ბრძოლა. რაიონული გაზეთები საქმის ცოდნით, ინიციატივიანად უნდა აშუქებდნენ კოლმეურნეთა, ენტს-ელისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა თავდადებულ მრომას, უნარიანად ეწეოდნენ მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას, აქტიურად იბრძოდნენ ამ გამოცდილების ფართოდ გავრცელებისათვის, ულმობლად და დამჯერებლად ამხილებდნენ ყოველივე იმას, რაც ხელს უშლის ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით განხორციელებას.

მხოლოდ ის რაიონული გაზეთი ასრულებს პირნათლად ამ საპატიო ამოცანებს, რომელიც მთელ თავის აღმრზველობითს და ორგანიზატორულ მუშაობაში მტკიცედ ეყრდნობა ფართო აქტივს, თანამშრომლობისათვის შეკოკრებილი ჰყავს ადამიანები, რომლებიც იცნობენ საქმეს და უყვართ იგი.

ამ მხრივ ნაყოფიერად მუშაობს წითელწყაროს რაიონული გაზეთი „ახალი შირაქი“, რომელსაც თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავს 160-ზე მეტი აქტიური სოფლკორი და მუშკორი. წელს „ახალმა შირაქმა“ თავის ფურცლებზე მოათავსა რედაქციაში შემოსული 800-ზე ნეტი წერილი და შენიშვნა. გაზეთში ხშირად იბეჭდება რაიონის თანამონა-ტრაქტორთა სადგურების პარტბიუროების მდივნების ნ. ალადაშვილის, ი. ყოჩიაშვილის, ი. მანგოშვილის, ნ. ახალაშვილის, აგრონომების ნ. ფეოდოროვის, ნ. სამშვილის, ვ. კოვზორიძის, ნ. ერმაკოვის, ზოოტექნიკოსების რ. გონაშვილის, გ. ნატროშვილის, ი. ჯინაშვილის, საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მდივნების ს. ჩოხელის, დ. ზელენსკის და სხვათა წერილები. ავტორთა ფართო აქტივის მოზიდვამ ხელი შეუწყო გაზეთს თემატიკის გაფართოებაში. „ახალი შირაქი“ ხშირ ხანებში უფრო შინაარსიანად კეთდება, ენერგიულად იბრძვის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებისათვის.

ავტორთა აქტივთან მუშაობის გარკვეული გამოცდილება შეიძინა აგრეთვე ტყიბულის რაიონულმა გაზეთმა „ტყიბულის მაღაროელმა“. მისი მუშაკები ხშირად დადიან რაიონის საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში, ესაუბრებიან კორესპონდენტებს, უკვეთენ წერილებს ცალკეულ საკითხებზე და პრაქტიკულად ეხმარებიან საგაზეთო მასალების მომზადებაში. რედაქციას შემოღებული აქვს თვიური სამუშაო გეგმების განხილვა ავტორთა აქტივის მონაწილეობით.

მაგრამ ყველგან ასე როდია. სამწუხაროდ, მთელი რიგი რაიონული გაზეთების რედაქციები უგულებელყოფენ ავტორთა აქტივს, რატომღაც ფიქრობენ, რომ მხოლოდ შტატის თანამშრომელთა საშუალებით, ნუსხოფლკორთა ფართო აქტივის მიუზიდავად, შეუძლიათ კარგი, საინტერესო გაზეთის გამოშვება.

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა იმსჯელა პარტიის თბილისის გარეუბნის რაიკომის ხელმძღვანელობაზე რაიონულ გაზეთ „სტალინის დროშისადმი“ და აღნიშნა, რომ გაზეთ „სტალინის დროშის“ რედაქცია სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ავტორთა აქტივთან. გაზეთის კორესპონდენტთა შორის იშვიათად შეხვდებით სოფლის მეურნეობის მოწინავეებსა და სპეციალისტებს, მექანიზატორებს, კოლმეურნეობათა ბრიგადირებს, მერგოლურებს, რიგით კოლმეურნეებს. სწორედ ამის შედეგია, რომ „სტალინის დროშაში“ ნაკლებად იბეჭდება მასალები ადგილობრივი ცხოვრებიდან, იგი ნაკლებად ეწევა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას.

ავტორთა აქტივთან მუშაობა ხშირად მოდუნებულია იმ გაზეთების რედაქციებში, რომელთა საქმიანობაშიც დაკავდრებულია უვარგისი, მანკიერი პრაქტიკა, როცა ისინი კოლმეურნეობების თავმჯდომარეების, ბრიგადირების, ზოგჯერ კი სოფლის მეურნეობის სპეციალისტების ხელმოწერით ბეჭდავენ რედაქციების ნაკლებად მკოდნე შტატის თანამშრომელთა მკრთალ წერილებს. ავტორთა აქტივთან მუშაობაში ამ ფორმალიზმის თავიდან ასაცილებლად საჭიროა რედაქციების ნუშაკები უფრო ხშირად დადიოდნენ ადგილებზე, ეთათბირებოდნენ თავიანთ კორესპონდენტებს, რა საკითხებზე წერონ, ხოლო როცა წერილები დაიწერება, ეხმარებოდნენ ავტორებს ტექსტის ლიტერატურულად უკეთესად ჩამოყალიბებაში.

ვ. ი. ლენინი პრესის მუშაკებს ასწავლიდა, რომ ბეჭდვითი სიტყვის ორგანო **მაშინ იქნება ცოცხალი და ცხოველმყოფელი, როცა ხუთ ხელმძღვანელ და მუდმივ თანამშრომელ ლიტერატორზე მოდის ხუთასი და ხუთი ათასი მუშაკი არა ლიტერატორი.** ეს იმას ნიშნავს, რომ გაზეთს შეუძლია დიდი და მნიშვნელოვანი საკითხები გადაწყვიტოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უნარიანად გამოიყენებს მასების თვითმოქმედებას, ფართო აქტივის გამოცდილებასა და ძალას.

საბჭოთა პრესის საქმიანობაში მტკიცედ დაკვიდრდა მასობრივი მუშაობის საკმაოდ ბევრი ფორმა და მეთოდი, რომლებიც ცხოვრებამ გაამართლა. რაიონული გაზეთები სისტემატურად და ფართოდ უნდა იყენებდნენ თავიანთ მუშაობაში ამ ფორმებსა და მეთოდებს: ხშირად უნდა აწყობდნენ მუშსოფლკორთა რეიდებს, რედაქციის მუშაკთა შეხვედრებს სოფლის მეურნეობის ნოვატორებთან, სოფლის ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებთან, პერიოდულად მართავდნენ ავტორთა სემინარებს, მკითხველთა კონფერენციებს. ჩვენი რაიონული გაზეთების მუშაობაში მტკიცედ უნდა დაინერგოს რედაქციების სამუშაო გეგმების განხილვა ავტორთა ფართო აქტივის მონაწილეობით.

მხოლოდ ნასლებთან კავშირის განმტკიცებით, აქტივზე დაყრდნობით შეუძლია გაზეთს იყოს რაიონის პარტიული ორგანიზაციის ხასრი იარაღი ნაკლოვანებებთან ბრძოლაში, ხელს უწყობდეს თვითკრიტიკისა და ქვემოდან კრიტიკის ფართოდ გაჩაღებას, პროპაგანდას უწევდეს ყოველივე იმ ახალსა და პროგრესულს, რასაც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება წარმოშობს.

მასებთან კავშირის შემდგომ განმტკიცებაში რედაქციებს ქმედითს ხელმძღვანელობასა და დახმარებას უნდა უწევდნენ პარტიის რაიონული კომიტეტები, რომელთა ვალია ყოველდღიურად სწვდებოდნენ თავიანთი გაზეთების საქმიანობას, წარმართავდნენ მთელ მათს აღმზრდელობითსა და ორგანიზატორულ მუშაობას.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების ჩატარების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნები კვირას, 1954 წლის 19 დეკემბერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი. 1954 წ. 13 ნოემბერი.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მზესუმზირას დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა შეასრულეს

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 10 ნოემბრისათვის 100,5 პროცენტით შეასრულეს 1954 წლის მოსავლის მზესუმზირას დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 5.420 ცენტნერით მეტი მზესუმზირა, ვიდრე შარშან ამავე დროისათვის.

მნიშვნელოვანი გადამეტებით შეასრულეს მზესუმზირას დამზადებისა და შესყიდვის გეგმა წითელწყაროს, სიღნაღის, ახმეტის, თელავის, თეთრი წყაროსა და ყვარლის რაიონებმა.

გრძელდება მზესუმზირას ჩაბარება მტს-ების სამუშაოთა ასანაზღაურებლად გადაცემული ანგარიშებით. (საქდესი).

ჩვენს დიად სამშობლოში

★ ★ ★ ★

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

15 ნოემბერს გაიმართა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მუშაკთა აქტივის კრება. 1954 წლის გამოფენის მუშაობისა და 1955 წლის გამოფენის მზადებაში კოლექტივის ამოცანების შესახებ მოხსენება გაკეთა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დირექტორმა აკადემიკოსმა ნ. ვ. ციცინმა.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა უდიდესი სასწავლო ცენტრი გახდა, — თქვა მომხსენებელმა. — შემთხვევით როდი უწოდეს მას ხალხში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების სკოლა. იგი მინდვრის მშრომელს უჩვენებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების გზებსა და საშუალებებს. გამოფენამ მშრომელთა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. მის სანახავად ყოველდღე მოდიოდა ათეულათასობით ადამიანი, ხოლო ცალკეულ დღეებში დამთვალიერებელთა რაოდენობა 200-250 ათასს აღწევდა.

გამოფენის მთავარმა კომიტეტმა დაამტკიცა 1954 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის 172.134 მონაწილე, აქედან სოფლის მეურნეობის 157 ათასი მოწინავე და ორგანიზატორი და 14.514 მეურნეობა და ორგანიზაცია, მათ შორის 207 რაიონი.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა რიგებში შეყვანილ იქნა აგრეთვე 300-ზე მეტი მექანიზატორი, რომლებმაც წელს თავი გამოიჩინეს მოსავლის აღებაში.

გამოფენაზე შესრულებულია დიდი სამუშაო მის მონაწილეთა მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის დარგში. შეგროვებული და განზოგადებულია მასალა ყველაზე ეფექტიანი ხერხებისა, რომლებსაც მოწინავეები იყენებენ და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი გვირჩევენ. შემუშავებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სიახლეთა დანერგვის გეგმები.

ამჟამად წარმოებს მზადება 1955 წლის გამოფენისათვის. ხდება ნატურალური ექსპონატების შერჩევა. მომავალ გამოფენის მონაწილეებად უკვე დამტკიცებულია ალტაის მხარის 28 მანქანა-ტრაქტორთა სადგური, აგრეთვე ალტაის მხარის, პავლოდარის ოლქის, ყაზახეთის სსრ 800-მდე მოწინავე მექანიზატორი.

დასახული და რაოდენობით გამოიცეს ლიტერატურა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების შესახებ და გადაღებულ იქნას 30-ზე მეტი ახალი კინოფილმი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ყამირი მიწების ათვისების ჩვენებას.

თათბირმა განიხილა მოხსენება და დასახა 1955 წლის გამოფენისათვის წარმატებით მზადების მთელი რიგი ღონისძიებანი. (საკდესი).

შესრულებულია ნავთობის ჭაბურღილების გათხრის წლიური გეგმა

მოლოტოვი, 15 ნოემბერი. (საკდესი). სწრაფი ტემპით თხრიან ნავთობის ჭაბურღილებს გაერთიანება „მოლოტოვნეფტის“ ტურბინული გათხრის პოლაზნის კანტორის ბურღვის ოსტატები. დღეს მათ ვადამდე შეასრულეს წლიური გეგმა. ბურღვის სიჩქარე წელს გეგმით გათვალისწინებულს 15 პროცენტით აღემატება.

მოწინავე კოლექტივი ახლა ამუშავებს ღონისძიებებს მეზუთე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

სმოლენსკის, კურსკის, ვლადიმირისა და ველიკიე ლუკის ოლქების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა შესრულეს

სმოლენსკის, კურსკის, ვლადიმირისა და ველიკიე ლუკის ოლქების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმები. კარტოფილი ჩაბარეს: სმოლენსკის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 62 ათასი ტონით, კურსკის ოლქისა — 21 ათასი ტონით, ვლადიმირის ოლქისა — 20 ათასი ტონით და ველიკიე ლუკის ოლქისა — 14 ათასი ტონით მეტი, ვიდრე შარშან.

კოლმეურნეობები განაგრძობენ კარტოფილის ჩაბარებას მტს-ების სამუშაოთა ნატურანაზღაურების ანგარიშში და სახელმწიფო შესყიდვის წესით.

აღნიშნული ოლქების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ინახავენ კარტოფილის თესლს 1955 წლის მოსავლისათვის.

ასმა საჯყეო-სამრეწველო მეურნეობამ შეასრულა წლიური გეგმა

ჩვენი ქვეყნის ხე-ტყის დამამზადებელი საწარმოები ჩაბმული არიან წლიური საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის შეჯიბრებაში. სამუშაოთა ორგანიზაციის გაუმჯობესების, მექანიზმების უფრო სრული გამოყენების მეოხებით კომბინატების „ხაბაროვსკლესის“ და „ირკუტლესის“ ბევრ საწარმოში სატყეო-სამრეწველო მეურნეობის თვითეული მუშის გამომუშავება უკვე აყვანილია ორ კუბურ მეტრამდე ცვლაში.

ჩვენი ქვეყნის ასზე მეტმა სატყეო-სამრეწველო მეურნეობამ ვადამდე შეასრულა წლიური გეგმები. მათ შორის არიან კომბინატ „სვერდლესის“ ოზერსკის სატყეო-სამრეწველო მეურნეობა, კომბინატ „ზაბაიკალლესის“ ბარუნ-ტარბაგატაის სატყეო-სამრეწველო მეურნეობა და სხვები.

ჩვენი ქვეყნის ხე-ტყის დამამზადებლებმა გადაწყვიტეს წლიური გეგმის გადამეტებით მისცენ სახალხო მეურნეობას შვიდ მილიონზე მეტი კუბური მეტრი მერქანი. (საკდესი).

მოსკოვში გაიხსნა პ. ი. ჩაიკოვსკის ძეგლი

საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით მოსკოვში ააგეს დიდი რუსი კომპოზიტორის პეტრე ილიას-ძე ჩაიკოვსკის ძეგლი.

15 ნოემბერს ძეგლი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. დღის 4 საათისათვის სახელმწიფო კონსერვატორიის შენობასთან, სადაც ძეგლია აგებული, შეიკრიბნენ დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები, კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები.

მიტინგი გახსნა სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა გ. თ. ალექსანდროვმა. მან დაახასიათა შემოქმედება პ. ი. ჩაიკოვსკისა, რომელმაც თავისი ხალხისა და მთელი კაცობრიობის დიდი პატივისცემა დაიმსახურა. მშობლიური ქვეყანისადმი, თავისი ხალხისადმი მხურვალე სიყვარულია ჩაქსოვილი ჩაიკოვსკის ყოველ მელოდიაში. ამიტომ მისი მუსიკა გასაგებია ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის. ჩაიკოვსკი წერდა ხალხზე და ხალხისათვის. თავის ნაწარმოებებში იგი უმღეროდა მშობლიური ბუნების სილამაზეს, ადამიანის სილამაზეს. ჩაიკოვსკის ხელოვნება ძვირფასია მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის.

ამბ. ალექსანდროვი ხსნის ძეგლს, რასაც შეკრებილნი მქუხარე ტაშით ხვდებიან.

ძეგლი შექმნილია სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ვ. ი. მუხინას მოდელის მიხედვით. კომპოზიტორი წარმოსახულია. შემოქმედებითი ფიქრის მომენტში. გრანიტის პოსტამენტიდან, რომელზეც აღმართულია ქანდაკება, ნახევარწრედ არის ფალავანი. გისოსის მხატვრულ ჩუქურთმაში გამოსახულია ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული თარიღები პ. ი. ჩაიკოვსკის დაბადებისა და გარდაცვალებისა, მუსიკალური ფრაზები კომპოზიტორის ნაწარმოებებიდან, როგორიც არის: ოპერა „ევგენი ონეგინი“, ბალეტი „გედის ტბა“, მეექვსე სიმფონია, პირველი კვარტეტი, საციოლინო კონცერტი, რომანსი.

ძეგლის მშვენიერი ფონია კონსერვატორიის შენობის წინ ამას წინათ დარგული არყის ხეები, ნაძვები, იასამნის ბუჩქები, რომლებიც გაზაფხულზე შექმნიან რუსული წარმტაცი ბუნების კუთხეს.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის გენერალურმა მდივანმა ტ. ნ. ხრენიკოვმა, რომელმაც ილაპარაკა პ. ი. ჩაიკოვსკის მოღვაწეობაზე მოსკოვის კონსერვატორიაში.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა კომპოზიტორმა დ. დ. შოსტაკოვიჩმა.

— ძეგლი, რომელიც დღეს გაიხსნა, — თქვა მან, — ეს არა მარტო ჩაიკოვსკის სიდიადისა და უკვდავების სიმბოლოა, ეს სიმბოლოა გენიალური კომპოზიტორისადმი ჩვენი ქვეყნის ხალხების უდიდესი პატივისცემისა და სიყვარულისა.

სიტყვები დამთავრდა. გაისმის პ. ი. ჩაიკოვსკის „საზეიმო მარში“, რომელსაც ასრულებს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ორკესტრი. ძეგლი ბევრი გვირგვინით შეამკეს. გვირგვინები მოიტანეს: დედაქალაქის მშრომელებმა, საბჭოთა კომპოზიტორების კავშირმა, სსრ კავშირის დიდი თეატრის კოლექტივმა, პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიამ, გნესინების სახელობის მუსიკალურ-პედაგოგიურმა ინსტიტუტმა და სხვ.

გვიან საღამომდე ბევრი ხალხი იყო პ. ი. ჩაიკოვსკის ძეგლთან. (საკდესი).

სოფლის მეურნეოგის მექანიზატორთა და სპეციალისტთა დასვენეგა

ჩრდილოეთ კავკასიაში, ყირიმსა და ჩვენი ქვეყნის სხვა წარმტაც ადგილებში მოთავსებულია სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები. წელს იქ იყო სოფლის მეურნეობის 160 ათასზე მეტი მუშაკი. ეს 36 ათასით მეტია შარშანდელზე.

ახლა პროფკავშირულ ჯანმრთელობის კერებში ისვენებენ მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორები და სპეციალისტები, რომლებმაც დაამთავრეს მინდვრის სამუშაოები. ფართოდ ება სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშაკების სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელი. მათ გადაეცათ დასასვენებელი სახლები „ვერბილკი“ და „შერბინკა“ მოსკოვის ოლქში, „დოლმატოვო“ კალინინის ოლქში, სანატორიუმი „ცეი“ (ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ) და „პოდგორნოე“ (ნოვგოროდის ოლქი).

ტაშკენტის ახლოს დამთავრდა ახალი დასასვენებელი სახლის „ლომონოსოვსკოეს“ მშენებლობა. დეკემბერში იგი მიიღებს დასასვენებელთა პირველ პარტიას. გადაწყდა რეკონსტრუირებულ იქნას ჯანმრთელობის კერა „ანაპა“ შავი ზღვის სანაპიროზე. აქ აშენდება საწოლი კორპუსები, სასადილო და სხვა შენობები.

(საკდესი).

ძვირფასი ხელსაწყო

ლენინგრადი. აგროფიზიკის ინსტიტუტში შექმნილია ორიგინალური ხელსაწყო, რომელიც აღრიცხავს ტრაქტორის მიერ ნიადაგის დამუშავებისას შესრულებულ მუშაობას.

ხელსაწყოს საშუალებით აღინიშნება გზა, რომელიც ტრაქტორმა გაიარა, შეიძლება გამოიარკვეს საწვავის ზუსტი ხარჯვა ნიადაგის სხვადასხვა პირობებში, სწორად შერჩეულ იქნას ტრაქტორის სიჩქარე.

ხელსაწყო იდგმება ტრაქტორსა და მისაბმელ იარაღს შუა. მისი კონსტრუქცია მარტივია და ჩვენების დიდი სიზუსტით გამოირჩევა.

ამ ხელსაწყოს საცდელმა ნიმუშმა, რომელიც დამზადებულია ინსტიტუტის სახელოსნოებში, გაიარა მინდვრად გამოცდა.

აგროფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ მოიწონა სოფლის მეურნეობის ახალი ძვირფასი ხელსაწყოს კონსტრუქცია. (საკდესი).

გადიდდა მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობათა ფუდადი შემოსავალი

მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობებში დიდდება ფულადი შემოსავალი. ცხრა თვეში შემოსავალი თითქმის ერთი მესამედით გადიდდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ახლა ოლქში 200-ზე მეტ სასოფლო-სამეურნეო არტელს მილიონიანი შემოსავალი აქვს.

ბევრ მეურნეობაში აშენდა სათბურები და კვალსათბურები, მეცხოველეობისა და საფუტკრეობის შენობები, აგებულია კლუბები, საბავშვო ბაღები და ბაგები. მარტო ცხრა თვეში კაპიტალური დაბანდებანი 159 მილიონ მანეთს შეადგენს.

გამომუშავებულ შრომადღეებზე წელს კოლმეურნეებს უკვე მიეცათ ავანსად 62 მილიონი მანეთი — თითქმის სამჯერ მეტი, ვიდრე გასული წლის 9 თვეში. (საკდესი).

ყაზანის ვ. ი. ულიანოვის (ლენინის) სახელობის უნივერსიტეტის 150 წლისთავი

ყაზანი, 15 ნოემბერი. (საკდესი). 17 ნოემბერს 150 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც შეიქმნა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი უმაღლესი სასწავლებელი — ყაზანის ვ. ი. ულიანოვის (ლენინის) სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ყაზანის უნივერსიტეტის მეცნიერებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს რუსული და მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რუსეთის რევოლუციურ ბრძოლაში. მსოფლიოში ცნობილია ყაზანის უნივერსიტეტის მეცნიერული სკოლები: გეომეტრიის სკოლა, რომლის დამაარსებელიც იყო ნ. ლობაჩევსკი, და ქიმიის სკოლა, რომელიც შექმნეს გამოჩენილმა რუსმა მეცნიერმა ნ. ზინინმა და გენიალურმა მეცნიერმა ა. ბუტლეროვმა — ნივთიერების აღნაგობის თეორიის შემოქმედმა. ეს თეორია თანამედროვე ორგანული ქიმიის საფუძველია. რუსულ და მსოფლიო მეცნიერებაში ძვირფასი წვლილი შეიტანა აგრეთვე ყაზანის სამედიცინო სკოლამ, რომელსაც სახელი შეუქმნეს ისეთმა გამოჩენილმა მეცნიერებმა, როგორიც იყვნენ ადამიუკი, ბეხტერევი, ლესგაფტი, ვიშნევსკი, მისლავსკი, ვინოგრადოვი და სხვები.

უნივერსიტეტის განვითარება განუყრელად დაკავშირებულია ნიჭიერი მეცნიერის, პედაგოგისა და აღმზრდელის ნ. ლობაჩევსკის სახელთან. იგი 20 წელიწადს იყო უნივერსიტეტის რექტორი. მეცნიერმა შეძლო დიდ სიმაღლეზე აეყვანა უნივერსიტეტის მეცნიერული და სასწავლო ცხოვრება. ლობაჩევსკიმ თავისი სახელი უკვდავყო არაევკლიდური გეომეტრიის შექმნით, რომელიც ახლა მთელ კაცობრიობას ემსახურება.

1819 წელს ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორმა ივანე სიმონოვმა მონაწილეობა მიიღო სამხრეთ პოლუსისაკენ გამგზავრებულ ექსპედიციაში, რომელსაც ფ. ბელინსგაუზენი და მ. ლაზარევი ხელმძღვანელობდნენ. ამ ექსპედიციის დროს აღმოაჩინეს ანტარქტიდა და ბევრი კუნძული დიდი ოკეანის სამხრეთ ნაწილსა და სამხრეთის ყინულოვან ოკეანეში. სიმონოვის ნაშრომებმა გაამდიდრა ბუნებისმეტყველების ბევრი დარგი.

ყაზანის უნივერსიტეტმა აღზრდა რუს რევოლუციონერთა მრავალი თაობა. 1887 წლის შემოდგომაზე იურიდიული ფაკულტეტის პირველ კურსზე შევიდა ვ. ი. ლენინი. იმავე წლის დეკემბერში სტუდენტთა მღელვარების დროს ვ. ი. ლენინმა პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო როგორც სტუდენტთა რევოლუციური გამოსვლის მონაწილემ და ხელმძღვანელმა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ყაზანის უნივერსიტეტი, რომელიც 1925 წლიდან დიდი ლენინის უკვდავ სახელს ატარებს, მეცნიერების უდიდესი ცენტრი გახდა.

წარმატებით ვითარდება უნივერსიტეტის მეცნიერული სკოლები: ლობაჩევსკის მოძღვრებას განაგრძობს ნიჭიერ მეცნიერთა მთელი პლეადა, რომელსაც სათავეში უდგას პროფესორი ა. პ. ნორდენი. ბუტლეროვის ქიმიის სკოლას ახლა სათავეში უდგანან გამოჩენილი მეცნიერები აკადემიკოსები ა. ე. და ბ. ა. არბუზოვები.

სურათზე: ყაზანის უნივერსიტეტის ერთ-ერთი კორპუსი.

ფოტო ბ. მიახნიკოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

უნივერსიტეტის ბევრი კათედრა მუშაობს თემებზე, რომლებიც დაკავშირებულია ვოლგის ჰიდროელექტროსადგურების აგებასთან, კუიბიშევის ზღვის შექმნასა და „მეორე ბაქოს“ რაონის ნავთობის ბაზების დამუშავებასთან.

უნივერსიტეტის როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცნიერთა კადრების მომზადებაში. ომისშემდგომ წლებში აქ დაცულია 25 სადოქტორო და 267 საკანდიდატო დისერტაცია. ყაზანის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის მეტი ნაწილი ყაზანის უნივერსიტეტშია აღზრდილი.

ახლა უნივერსიტეტში 30-ზე მეტი ეროვნების 4 ათასამდე სტუდენტი სწავლობს. რევოლუციამდე 113 წლის არსებობის მანძილზე უნივერსიტეტი სულ ექვსმა თათარმა დაამთავრა. ახლა მის შვიდ ფაკულტეტზე სწავლობს 900-ზე მეტი თათარი. აქედან ნახევარზე მეტი ქალია.

უნივერსიტეტში გარდა კათედრებისა, მუშაობს სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები: ქიმიისა ა. მ. ბუტლეროვის სახელობის, მათემატიკისა და მექანიკისა ნ. გ. ჩებოტარიოვის სახელობის, ნ. ი. ლობაჩევსკის სახელობის უმდიდრესი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, მუზეუმები: ზოოლოგიისა, გეოლოგია-მინერალოგიის და ეთნოგრაფიისა, ორი ასტრონომიული ობსერვატორია, ბიოლოგიის სადგური.

თავის ღირსშესანიშნავ 150 წლისთავს ყაზანის ვ. ი. ულიანოვის (ლენინის) სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტთა, მეცნიერთა და მასწავლებელთა დიდი კოლექტივი სასწავლო მუშაობასა და მეცნიერულ მოღვაწეობაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებებით შეეგება.

მზადება პირუტყვის გამოზამთრებისათვის

ბურჯაანი. („კომუნისტის“ კორ.). პარტიის რაიკომის პლენუმმა განიხილა პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების საკითხი. რაიონის კოლმეურნეობებში სერიოზულ მუშაობას ეწევიან მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის. სოფლების ველისციხის, მუკუზნის, ბურჯაანისა და სხვა კოლმეურნეობებში პირუტყვისათვის ააგეს კეთილმოწყობილი ბინები, ფერმებში მექანიზებულია ყველა შრომატევადი სამუშაო, შეიძინეს ჯიშიანი ძროხები.

ამასთან ერთად პლენუმზე აღინიშნა, რომ რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ცუდად ემზადებიან პირუტყვის გამოზამთრებისათვის. ახაშნის და ვაზისუბნის კოლმეურნეობებმა, მართალია, ბინები ააგეს, მაგრამ მათ კეთილმოწყობას აგვიანებენ. ორ წელზე მეტია ჭიანურდება საღორეების მშენებლობა ჩუმლაყის, კარდანახისა და კოლაგის კოლმეურნეობებში. ზოგან პირუტყვისათვის საკმაო საკვები არ მოიმარაგეს. პლენუმის მონაწილეებმა გააკრიტიკეს მტს-ების მუშაკები და მეცხოველეობის სპეციალისტები, რომლებიც მთელი მონდომებით არ მუშაობენ საკმაო საკვების დასამზადებლად. პლენუმმა პირუტყვის გამოზამთრების საკითხზე მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

საკავშირო პრემია საუკეთესო მაჩვენებლებისათვის

ჭიათურა. (საკ. კორ.). მოსკოვიდან ჭიათურაში მიღებულია შემდეგი ცნობა: მესამე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა ჭიათურის მარგანეცის ტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივმა, რომელსაც შავი მეტალურგიის საწარმოთა შორის მიეკუთვნა მეორე ადგილი და პრემია 75.000 მანეთი.

ამ სასიხარულო ცნობის პასუხად დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივმა იკისრა წლიური გეგმის ვადამდე განაღდება.

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). მესამე კვარტალში სახელმწიფო დავალებათა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულებისათვის, ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის სსრ კავშირის ელექტროსადგურების სამინისტროს კოლეგიისა და საკავშირო პროფსაბჭოს გადაწყვეტილებით ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის კოლექტივს მიეკუთვნა მესამე საკავშირო ადგილი და პრემია.

ამასთან აფხაზეთის ასსრ ელექტროსადგურებს შორის საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვებისათვის ამავე სადგურის კოლექტივს მიეკუთვნა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

სუბტროპიკული კულტურები კასპიის ზღვის სანაპიროებზე

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში ჩაის გაშენებისათვის სერიოზულად არავის უზრუნვია. საკავშირო მემცენარეობის ინსტიტუტის ლენქორანის განყოფილებამ 1929 წელს სოფელ ბირკანის ფართობზე დათესა ჩაის თესლი, რომლის მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტი აღმოცენდა.

ჩაქვის საბჭოთა მეურნეობიდან 1931 წელს ჩაიტანეს ჩაის ნერგები და თესლი. ლენქორანის სატყეო მეურნეობის საცდელი სადგურის მუშაკებმა ჩაის თესლის დათესვის შემდეგ დამულჩვის (ტენის შენარჩუნების მიზნით ნიადაგის დაჩრდილვა) წესი გამოიყენეს. დამულჩვით ჩაის თესვამ შედარებით უკეთესი შედეგი გამოიღო, მაგრამ მდგომარეობა მაინც არ იყო დამაკმაყოფილებელი.

ჩაის ბუჩქის განვითარებას ხელს უშლიდა კასპიის ზღვის სანაპიროების, მასალის, ლენქორანისა და ასტარის რაიონების ნიადაგისა და ჰავის შეუსაბამობა.

ამ რაიონების ნიადაგის შესასწავლად სერიოზული მუშაობა გასწია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა, პროფესორმა მ. საბაშვილმა, რომელმაც მეცნიერულად დაასაბუთა, რომ გამოკვლეული ნიადაგები გამოსადეგია ჩაის ბუჩქის განვითარებისათვის.

დაიწყო საქართველოს სსრ ტერიტორიიდან მოძმე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სუბტროპიკული კულტურების მასობრივი დანერგვა.

საქართველოს ჩაის ტრესტის დახმარებით ლენქორანის რაიონში ჩამოყალიბდა ჩაის საბჭოთა მეურნეობა. ამის შემდეგ მეორე საბჭოთა მეურნეობა „ავრორა“ შეიქმნა და სოფელ გირდამისში „პრავდის“ სახელობის ჩაის პირველი კოლმეურნეობა დაარსდა. ეს კოლმეურნეობა დღეს მოწინავეთა რიგებშია. ამავე წლიდან ასტარის, ლენქორანის, მასალის, ზაქათალის, ბელაქანისა და კახის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მასობრივად დაიწყეს ჩაის პლანტაციების გაშენება. დღეს ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების პლანტაციების საერთო ფართობი რამდენიმე ათას ჰექტარს აღწევს.

აზერბაიჯანის სუბტროპიკული კულტურების რაიონებში შეუფერხებლად მუშაობენ კარგად მოწყობილი ჩაის ფაბრიკები. მწვანე ჩაის სახელმწიფო დამზადების გასული წლის გეგმა კოლმეურნეობებმა 118 პროცენტით შეასრულეს, საბჭოთა მეურნეობებმა კი — 112,5 პროცენტით.

მოწინავეთა რიგებშია კიროვის სახელობის სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც წლების მანძილზე კეთილსინდისიერად ხელმძღვანელობს ალექსი ქავთარაძე. გასული წლის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის საბჭოთა მეურნეობამ მიიღო საკავშირო პროფსაბჭოსა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ფულადი პრემია. საბჭოთა მეურნეობის იმ უბნებზე, სადაც ა. ახმედოვი,

სურათზე: აზერბაიჯანის სსრ ლენქორანის რაიონის „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე ზახრა რზაევა.

ფოტო ს. კულიშევისა.

დ. აზიზოვა, ხ. კადიროვა, ს. გეიდაროვი და ს. ალი მირზოევი მუშაობენ, ყოველდღიური დავალება გადამეტებით სრულდება.

კარგი მაჩვენებლები აქვს აგრეთვე ლენქორანის რაიონის ჩაის საბჭოთა მეურნეობა „ავრორას“ (დირექტორი მ. კიაზოვი). მეურნეობამ მუშაობაში საუკეთესო წარმატებები მოიპოვა, გასულ წელს სახელმწიფოს პირველი ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლი გადაჭარბებით ჩააბარა. ამ მეურნეობის მუშაკებმა დროულად შეასრულეს ჩაის ახალი პლანტაციის გაშენების, სანერგეების მოწყობის, ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შეკეთების გეგმები. ამ წარმატებებისათვის საბჭოთა მეურნეობა „ავრორას“ კოლექტივს მიენიჭა საკავშირო პროფსაბჭოს და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და გადაეცა ფულადი პრემია.

ლენქორანის რაიონის სოფელ გირდამისის „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობაში კარგად აითვისეს ჩაის კულტურის მოვლა-გაშენების წესები. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. თაიროვმა განაცხადა: პირველ ხანებში ჩვენ არა გვყავდა ჩაის კულტურის გაშენებასა და მოვლა-მოყვანის საქმეში გამოცდილი კოლმეურნეები. სოფლის მეურნეობის ამ მნიშვნელოვანი დარგის განვითარებაში დიდი დახმარება გაგვიწიეს საქართველოს რესპუბლიკის მოწინავე კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა. ფართოდ გამოვიყენეთ მათი მდიდარი გამოცდილება ჩაის ბუჩქის გაშენებაში, რითაც ყოველწლიურად ვზრდით პლანტაციების ფართობებს და ჩაის ფოთლის მოსავლიანობას.

ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გადიდებასთან ერთად იზრდება კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი. „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი თუ 1950 წელს 472 ათას მანეთს უდრიდა, 1953 წელს მილიონს გადააჭარბა. კოლმეურნეობამ თუ 1950 წელს შრომადღეზე 5 მანეთი გასცა, გასულ წელს შრომადღის ღირებულებამ 12 მანეთს მიაღწია.

„პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის ფოთლის მკრეფავი მოწინავე მერგოლურები არიან ხ. ნაზაროვა, ზ. რზაევა, გ. ბაგიროვა და ი. საფაროვა. მათ შორის ხალიდა ნაზაროვა და ზახრა რზაევა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი არიან.

ექვსი წლის წინათ ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია აზერბაიჯანის სსრ ლენქორანის რაიონის სოფელ გირდამისის „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობა. ლენქორანელებმა გამოწვევა მიიღეს. ხელშეკრულების დასადებად და, რაც მთავარია, გამოცდილების გაზიარების მიზნით ზუგდიდელი მეჩაიეები ორჯერ ეწვიენ „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობას. ლენქორანელებიც არაერთხელ იყვნენ ზუგდიდში. ორი მოძმე რესპუბლიკის კოლმეურნეობას შორის გაჩაღდა შეჯიბრება, რამაც სარგებლობა მოუტანა ახალსოფლელ და გირდამისელ კოლმეურნეებს.

არა მარტო ლენქორანის რაიონის „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობა, არამედ კასპიის ზღვის სუბტროპიკული კულტურების რაიონების ყველა კოლმეურნეობა ფართოდ ნერგავს ქართველ კოლმეურნეთა მდიდარ გამოცდილებას, რამაც კარგი შედეგი გამოიღო.

მტკიცდება მეგობრობა ორი მოძმე რესპუბლიკის კოლმეურნეებს შორის. კასპიისპირეთში მკვიდრი საძირკველი ჩაეყარა ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურებს.

კასპიის ზღვის სანაპიროს კოლმეურნეები ენერგიულად იბრძვიან ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების უხვი მოსავლის მოსაყვანად.

გ. მინდაძე.

საჩუქრად მეტალურგებს

რუსთავი. (საკ. კორ.). მეტალურგების ქალაქს უკვე ამშვენებს ხუთსართულიანი მონუმენტური საცხოვრებელი სახლი, რომელიც ამ დღეებში გადასცეს მეტალურგების შესასახლებლად.

სახლის აგებით ამიერკავკასიის მეტალურგშენის ტრესტის ბინათმშენებლობის სამმართველომ მეტალურგებისათვის საცხოვრებელი სახლების საეკსპლოატაციოდ გადაცემის წლიური დავალება ვადამდე ორი თვით ადრე შეასრულა.

შენობის აგებაზე თავი ისახელეს სამუშაოთა მწარმოებელმა საბჭოთა კავშირის გმირმა ინჟინერმა თ. ჯაფარიძემ, ინჟინერ-მშენებლებმა ა. გოგგატიშვილმა და ჰ. რაფაელოვმა, ბრიგადირებმა ს. ოდიშელიძემ, ი. ჩუმაკოვმა და ა. მარქარიანმა.

პრესის მიმოხილვის მაგივრად

საქმის ცოდნით გავაშუქოთ პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები

ჩვენი რესპუბლიკის პირველად პარტიულ ორგანიზაციებში 1 ნოემბრიდან დაიწყო ანგარიშგება-არჩევნები. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში დიდ ამოცანებს აკისრებს ადგილობრივ გაზეთებს. ისინი მოვალენი არიან ხელი შეუწყონ საანგარიშო-საარჩევნო კრებების მაღალ იდეურ და ორგანიზაციულ დონეზე მოწყობას, პირუთვნელი კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაჩაღებას.

ბევრი ჩვენი ადგილობრივი გაზეთი პასუხისმგებლობით მოეკიდა პარტიული ორგანოების საანგარიშო-საარჩევნო კრებების გაშუქებას.

პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებების გაშუქება კარგად დაიწყეს რაიონულმა გაზეთებმა **„კომუნისტურმა სიტყვამ“** (ჭიათურა) და **„სტალინელმა“** (სოხუმი). „კომუნისტური სიტყვის“ 4 ნოემბრის ნომერში მოთავსებულია სოფელ დიდი კაცხის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრების ანგარიში, რომელიც მოფიქრებულად არის დაწერილი. წერილში მოცემულია პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ნათელი სურათი, მხილებულია ნაკლოვანებანი, ახსნილია მათი გამომწვევი მიზეზები. მკვეთრად კრიტიკულია გაზეთ „სტალინელში“ გამოქვეყნებული ანგარიში, რომელიც სოფელ ბესლეთის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებას შეეხება. საანგარიშო მოხსენება, აღნიშნავს გაზეთი, თვითკრიტიკული არ იყო. მასში მთელი სისრულით არ ყოფილა ასახული კოლმეურნეობისადმი სამეურნეო და პოლიტიკური ხელმძღვანელობის სერიოზული ნაკლოვანებანი. ცოტა ითქვა მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის და ჯანსაღი ყოფაცხოვრებისათვის ბრძოლის შესახებ. ცალკეულმა კომუნისტებმა (გ. ნოზაძე, პ. ცხაკაია) გაკრიტიკების ნაცვლად დაუმსახურებლად შეაქეს პარტბიუროს მუშაობა.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი საქალაქო და რაიონული გაზეთი, რომელიც მთელი პასუხისმგებლობით არ მოეკიდა პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნების გაშუქებას, ბეჭდავს ზერელე, მიზანდასახულობასა და ქმედითობას მოკლებულ ანგარიშებს. ქუთაისის საქალაქო გაზეთმა **„სტალინელმა“** 3 ნოემბერს გამოაქვეყნა საავტომობილო ქარხნის პარტიული კონფერენციის ანგარიში. ეს წერილი ძირითადად პარტიული კომიტეტის მდივნის საანგარიშო მოხსენების შინაარსის უბრალო გადმოცემას წარმოადგენს, მოკამათეთა გამოსვლებს კი მცირე ადგილი აქვს დათმობილი. აღსანიშნავია, რომ 19-დან გაზეთმა მხოლოდ ექვსი მოკამათის, ისიც ხელმძღვანელი მუშაკების გამოსვლა გააშუქა. გაზეთში ასახვა ვერ ჰპოვა იმ რიგითი მუშების გამოსვლებმა, რომლებიც უშუალოდ წარმოებაში მუშაობენ. წერილი უმთავრესად ფაქტების რეგისტრაციას წარმოადგენს და არ იძლევა ნაკლოვანებათა მკვეთრ კრიტიკას, გვერდს უვლის ნაკლოვანებათა გამომწვევ მიზეზებს.

პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნებისადმი მიძღვნილი მასალების მომზადებაში ნაკლები პასუხისმგებლობა გამოიჩინა რაიონულმა გაზეთმა **„ახალმა წყალტუბომ“**. ამ საკითხზე 24 ოქტომბრის ნომერში მოთავსებული მოწინავე სტატია მეტად ზოგადია და შეიცავს ბუნდოვან, გაუმართავ გამოთქმებს. რას მისცემს მკითხველს, მაგალითად, ასეთი წინადადება:

„საანგარიშო კრებამდე საჭიროა ყოველმხრივ შემოწმდეს პარტიული ორგანიზაციების და მათი ხელმძღვანელების საქმიანობა, კომუნისტების აქტივიზაცია“ (?).

ქუთაისის რაიონულმა გაზეთმა **„სიმართლემ“** კი 31 ოქტომბრის ნომრის მოწინავე სტატიაში საჭიროდ მიიჩნია გაეფრთხილებინა პარტიული ორგანიზაციები, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებამდე კომუნისტებს წინასწარ გააცნონ საანგარიშო მოხსენებათა შინაარსი (!). საინტერესოა, საიდან დაებადათ ამ გაზეთის მუშაკებს ასეთი უცნაური აზრი?

რუსთავის საქალაქო გაზეთმა **„მეტალურგიისათვის“** 5 ნოემბრის ნომერში პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე 2 წერილი დაბეჭდა. ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის პარტიული ორგანიზაციის კრების ანგარიში დაწერილია მოუფიქრებლად. ამ ანგარიშში კრების სურათი აღწერილია ფოტოგრაფიულად, არ აძლევს კრებას შეფასებას, არ უკეთებს ანალიზს, არ აკრიტიკებს ნაკლოვანებებს და არ მიუთითებს მათი გამოსწორების გზებზე. ასეთივე ნაკლი აქვს მეტალურგიული ქარხნის ელექტროშემკეთებელი საამქროს პარტიული კრების ანგარიშსაც.

პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები ეწყობა იმისათვის, რომ კომუნისტებმა შეამოწმონ თავიანთი ხელმძღვანელები, საქმიანად განიხილონ გაწეული მუშაობა, ამხილონ ნაკლოვანებანი, უპასუხისმგებლო, უუნარო მუშაკები, დასახონ შემდგომი მუშაობის, არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების გზები და საშუალებები, ხელმძღვანელ ორგანოში აირჩიონ მოწინავე, საქმის მოყვარული ადამიანები. ყოველივე ამან ფართო ასახვა უნდა ჰპოვოს საქალაქო და რაიონული გაზეთების ფურცლებზე.

გაზეთები მოვალენი არიან ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი კრიტიკას, რომელიც მძლავრად გაისმის პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე. რედაქციებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ საანგარიშო-საარჩევნო კრებების მასალები პარტიული მშენებლობის პრაქტიკული საკითხების დაყენებისა და ღრმად განზოგადებისათვის, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი თვითკრიტიკასა და ქვემოდან კრიტიკის ფართოდ გაშლას.

უზრუნველყოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულება

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველდღიურად ზრუნავენ ხალხის კეთილდღეობისათვის, საბჭოთა ადამიანების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი აწევლებისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებები, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ შემდგომ მიღებული ღონისძიებანი მიმართულია ჩვენი ქვეყნის მრეწველობის ნედლეულით, ხოლო მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით უზრუნველყოფისაკენ.

ამიტომ ზრუნვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვისათვის — ეს არის ზრუნვა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის ამაღლებისათვის. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის გეგმის დროულად შესრულება პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების გადაუდებელი საქმეა.

ნეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის შედეგად საქართველოს კოლმეურნეობებმა წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი მოიყვანეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა პარტიული ორგანიზაციების ყურადღება მიაპყრო ტექნიკური კულტურების მოვლა-პატრონობისა და მოსავლიანობის გადიდების საკითხებს.

საქართველოში შექმნილია მძლავრი სუბტროპიკული მეურნეობა. საბჭოთა კავშირის ჩაის პროდუქციის 95 პროცენტზე მეტი ჩვენს რესპუბლიკაში მოჰყავთ. მნიშვნელოვნად გადიდდა ჩაის წარმოება.

1940 წელს საქართველოში საშუალოდ ჰექტარზე მოიკრიფა 1.278 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, შარშან კი 2.629 კილოგრამი. წელს რესპუბლიკაში დამზადდა 107.368 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

წელს ჩაის ფოთოლი უფრო მეტი მოიკრიფა, ვიდრე გასულ წელს. ნთელმა რიგმა რაიონებმა გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმები. ზათუმის რაიონმა დავალება გაანაღდა 106,8 პროცენტით, ქობულეთისამ — 100,5, ლანჩხუთისამ — 100, წყალტუბოსამ — 101,9, წალენჯიხისამ — 103, გულრიფშისაჰ — 100,5 პროცენტით, მაგრამ მთელმა რიგმა რაიონებმა დროულად არ მიიღეს ზომები გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად და ათეული ტონობით ჩაის ფოთოლი დააკლეს ჩვენს ქვეყანას.

ამჟამად გაჩაღებულია უხეში და მოუხეშო ჩაის ფოთლის კრეფა. ამოცანა ის არის, რომ ამ დარგში დავალება დროულად შესრულდეს.

ჩვენი რესპუბლიკის მევენახეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წელს ყურძნის უხვი მოსავალია მიღებული. ყურძნის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა რესპუბლიკამ ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულა. დამზადებულია 104.987 ტონა ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 90 ათასი ტონისა, ანუ წლიური გეგმის 116 პროცენტი. მოსავლიანობის გადიდებაში თავი ისახელეს გურჯაანის, გორის, თელავის, კასპის, კაჭრეთის, წითელწყაროს, სიღნაღის, ზესტაფონის, თერჯოლის, თეთრი წყაროს, მარნეულის, მცხეთის, საჩხერის რაიონებმა, ცალკეულმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

ვადაზე ადრე და დიდი გადაჭარბებით შესრულდა წელს ალრეშუნის პარკის დამზადების სახელმწიფო გეგმა. ალრეშუმის ჭიის კარგი მოვლა-პატრონობით საუკეთესო მოსავალი მიიღეს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, სადაც 3.650 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარეს 3.791,4 ცენტნერი პარკი.

წელს გაცილებით მეტი პროდუქტია ჩაბარებული, ვიდრე შარშან ამავე დროისათვის. მაგალითად, ხორცი ჩაბარებულია 5.478 ტონით მეტი, რძე — 7.960 ტონით, კვერცხი — 862 ათასი ცალით, წვრილი ტყავი — 393,8 ათასი ცალით, ბოსტნეული — 2.617 ტონით, ჩაი — 500 ტონით, თაბაქო — 1.039 ტონით, ალრეშუმის პარკი—100 ტონით, ხილი — 1.662 ტონით, ბალჩეული კულტურები — 3.243 ტონით მეტი და სხვ.

თესლოვანი და კურკოვანი ხილის დიდი მოსავალია. 1 ნოემბრისათვის დამზადების გეგმა შესრულებული იყო 86 პროცენტით. გორის რაიონმა დამზადების გეგმა შეასრულა და ვალდებულება იკისრა გეგმის გადაჭარბებით ჩააბაროს 6.000 ცენტნერი ხილი.

გასული წლის მწარე გაკვეთილების გათვალისწინების შედეგად წელს სერიოზული ყურადღება მიექცა მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, მეცხოველეობის ფერმების ხელეს გურჯაანის, გორის, თელავის, კასპის, კაჭრეთის, წითელწყაროს, სიღნაღის, ზესტაფონის, თერჯოლის, თეთრი წყაროს, მარნეულის, მცხეთის, საჩხერის რაიონებმა, ცალკეულმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

ივნისის ბოლოს ჩაბარებულ ბოსტნეულ-ბოსტნეულ ნაკეთობათა ნაკლებობა ადგილობრივ ბაზრებზე ადგილობრივ ბაზრებზე ადგილობრივ ბაზრებზე

წერილები რედაქციას

მჯიღნეული საკითხი. რომელიც ყურადღებას მოითხოვს

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და კულტურის მეორე ცენტრი — ქალაქი ქუთაისი სულ უფრო და უფრო იზრდება და მშვენდება. ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. მაგრამ მოსახლეობის კომუნალური მომსახურების საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქალაქის აბანოების ცუდი მუშაობა.

ქუთაისში მხოლოდ ორი აბანოა. ბუნებრივია, რომ ისინი სრულებით ვერ აკმაყოფილებენ მშრომელთა მოთხოვნილებას. ნინოშვილის ქუჩაზე მართალია დაიწყო ახალი აბანოს მშენებლობა, მაგრამ მისი დამთავრება რამდენიმე წლის მანძილზე შეუძლებელი გახდა. მარტო გასულ წელს „ქუთაისმშენს“ აბანოს მშენებლობაზე აუთვისებელი დარჩა რამდენიმე ათეული ათასი მანეთი.

თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, რომ ქალაქის აბანოს ერთი კვირის განმავლობაში ნორმალურად, სრული დატვირთვით ემუშაოს. მაისიდან ძლიერ ხშირად აბანოები დილის საათებში წყლის მიუწოდებლობის გამო შეფერხებით მუშაობენ. 22 და 23 ოქტომბერს № 2 აბანო დილიდან ნაშუადღევის 4 საათამდე ამ მიზეზით არ მუშაობდა.

არც ისე დიდი ხანია ქალაქის აბანოებს კაპიტალური რემონტი გაუკეთდა. მაგრამ ეს სამუშაო დაბალხარისხოვნად შესრულდა. ერთ წელზე მეტია, რაც ქალაქის № 1 აბანო შეაკეთეს, მაგრამ ძირითადი მოსაგვარებელი საქმე — საკვამლე მილის კონსტრუქციის შეცვლა უყურადღებოდ დატოვეს. აბანოს საკვამლე მილიდან განუწყვეტლივ ცვივა დიდძალი ჭვარტლი, რომელიც ფარავს სტალინის, პუშკინისა და სტურუას ქუჩებს. ამავე დროს აბანოსათვის მაზუთის მიწოდება შეუფერებელ ადგილას ხდება და ქუჩა ჭუჭყიანდება.

საჭიროა ღონისძიებათა მიღება ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ვ. ჩოგბახიძე,
ლიტოპონის ქარხნის ბარიუმის საამქროს ცვლის უფროსი.

წესრიგი უნდა დამყარდეს

თბილისის კინოთეატრები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მშრომელთა გაზრდილი კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

მაგრამ არის ნაკლიც. შედიხართ დედაქალაქის კინოთეატრ „კოლმეურნის“ დარბაზში და უმალვე თვალში გეცემათ უსუფთაობა, უწესრიგობა. ნოსაცდელი ოთახი გაუფორმებელია. აქ არა აქვთ გაზეთები, ჟასარითხები. კინოთეატრის მენობას რემონტი ესაჭიროება.

შესასვლელთან საგამოფენით ხშირად იყრიან თავს ბილეთების გადამყიდველები. ამ მდგომარეობას კი ჯეროვან ყურადღებას არავინ აქცევს.

საჭიროა კინოთეატრში სანმიუშო წესრიგის დამყარება.

ვ. სუხიშვილი,
სტახანოველი ზეინკალი.

როცა გულშემაჯკივარი არა ჰყავს

ხაშურის წიგნის ნაღაზია სათანადო სამსახურს უწევდა რაიონის მშრომელებს ლიტერატურითა და სასწავლო ნივთებით მომარაგების საქმეში. დიდი ხანი არ არის, რაც სიძველის გამო მაღაზიის იატაკი ჩაინგრა, კედლები და წიგნის თაროები დაზიანდა. აგვისტოში საქწიგნის დაფინანსებით რაიონის საერემონტო კანტორამ იატაკი შეაკეთა, სხვა სამუშაოები კი დღემდე შეჩერებულია. ამ ნიზეზით შეწყვეტილია რაიონში წიგნით ვაჭრობა, პარტიული განათლების ქსელი ვერ მარაგდება წიგნებით და სხვა საჭირო ნივთებით.

საქწიგნის ხელმძღვანელობამ ბოლომდე უნდა მიიყვანოს დაწყებული საქმე და მოკლე ხანში უზრუნველყოს რაიონის მშრომელთა მოთხოვნილება წიგნზე.

ნ. ამბოკაძე.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

სოფლკორი, კოლმეურნეობის სარეველზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. გ. ჯაბასაშვილი სოფელ ბაკურციხიდან რედაქციას სწერდა ამავე სოფლის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის გ. ზარდიაშვილის არასწორი მოქმედების შესახებ. გ. ზარდიაშვილის დაუდევრობით გაფუჭდა 165 ცენტნერი საკვები ქარხალი, 1.800 კილოგრამი ხახვი, 290 ცენტნერი ხორბალი, გახმა ფილოქსერის გამძლე 9.000 ძირი ვაზის სადედე, ერთ ჰექტარზე თუთის ნერგი, აგრეთვე — 959 ძირი ვაშლისა და მსლის ნერგი. კოლმეურნეობაში სუსტია შრომის დისციპლინა, მოუწესრიგებელია შრომა.

წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომს.

წერილთან დაკავშირებით რაიკომის მდივანი ამხ. ა. დავითაშვილი რედაქციას ატყობინებს: სოფელ ბაკურციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარის გ. ზარდიაშვილის მიმართ წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. იმის გამო, რომ ამხ. გ. ზარდიაშვილმა ვერ უზრუნველყო კოლმეურნეობის საზოგადოებრივი საკუთრების მოვლა-პატრონობა, დაუშვა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევა, ვერ შემოიკრიბა თავის გარშემო კოლმეურნეობის აქტივი, ვერ მოაწესრიგა შრომა, კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებას რჩევა მიეცა მოხსნას გ. ზარდიაშვილი კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

შემოქმედებითი შრომის მონაპოვართა გამოფენა

სიღნაღის რაიონის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მნახველები ყურადღებით ათვალიერებენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობის პავილიონებს, მტს-ების მძლავრ ტექნიკას, იცნობიან მოწინავეთა მუშაობის შესანიშნავ გამოცდილებას.

ანაგის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის პავილიონს დაშაქრებული რქაწითლის მტევნები ამშვენებს. დიაგრამები მეტყველებენ კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის განუხრელ ზრდაზე.

ერთ-ერთი დიაგრამა, რომელზეც ლამაზი ფერებით დაუხატიათ ყურძნის მტევნები, მნახველებს აცნობს კოლმეურნეობაში მევენახეობის მკვეთრ აღმავლობას. თუ 1952 წელს აქ თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 31,5 ცენტნერი ყურძენი მიიღეს, წელს მოსავლიანობა ჰექტარზე 90 ცენტნერამდე გაიზარდა. თვალსაჩინო ადგილას გამოუკიდიათ ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატთა პორტრეტები.

ანაგელებმა თავი ისახელეს მარცვლეული კულტურების მოყვანაშიც. მემინდვრეობის იმ ბრიგადამ, რომელსაც ლ. ჯანიაშვილი ხელმძღვანელობს, 40 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 30 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა.

ტიბაანელ კოლმეურნეებს 84 ჰექტარი ნაყოფის მომცემი ვენახი აქვთ. წელს ისინი განსაკუთრებული მზრუნველობით უვლიდნენ ვენახებს და შრომაც დაუფასდათ — თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს 100 ცენტნერი ყურძენი. სახელმწიფოსთვის გეგმით 2.920 ცენტნერი ყურძენი უნდა ჩაებარებინათ, ფაქტიურად ჩააბარეს 5.500 ცენტნერი. ტიბაანელებმა წელს მარტო მევენახეობიდან 3 მილიონი მანეთი შემოსავალი მიიღეს.

ვენახების მოვლა-პატრონობის საქმეში მრავალმა მევენახემ ისახელა თავი. მევენახეობის მეექვსე ბრიგადის იმ რგოლმა, რომელსაც გ. ხატიაშვილი ხელმძღვანელობს, თვითეულ ჰექტარზე 111 ცენტნერი ყურძენი მიიღო.

ბოდბისხევის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში წელს მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალი მოიყვანეს. ხორბლის მოსავლიანობამ საშუალოდ ჰექტარზე 18 ცენტნერს გადააჭარბა. 100 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 28 ცენტნერი ქერი.

კოლმეურნეობას კარგი მაჩვენებლები აქვს მეცხვარეობაში, მეკამეჩეობაში. პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების მიზნით აქ 13 სული ველის წითელი ჯიშის ძროხა შეიძინეს.

წელს თავდადებულად იშრომა ჯუგაანის კოლმეურნეობის საკვებმოპოვების ბრიგადამ. მის მიერ მოყვანილი ჭარხლის ცალკეული ბოლქვები 10 კილოგრამზე მეტს იწონის. ჰექტარზე აქ 700 ცენტნერი ჭარხალი მოიყვანეს. გამოფენაზე გამოუტანიათ აგრეთვე პირუტყვის საკვები გოგრა, რომელიც ჰექტარზე 720 ცენტნერი მოკრიფეს.

1955 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ფართო მაჩვენებლებით წარდგება სოფელ ნუკრიანის „პარზის კომუნის“ სახელობის კოლმეურნეობა. წელს აქ 720 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე 19,7 ცენტნერი პური გალეწეს, საკოლმეურნეო ბარაქას მიემატა მზესუზნიას უხვი მოსავლიც — 150 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 15,5 ცენტნერი.

გამოფენა მრავალმა მშრომელმა დაათვალიერა.

გ. ხეჩუაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

* * *

სურათზე: მშრომელები ათვალიერებენ ტიბაანის მტს-ის ზონის კოლმეურნეობათა პავილიონებს.

ფოტო ე. სილდირიანისა.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა მაღალმთიან რაიონში

შუახევი, 15 ნოემბერი. (საქდესი). აქ გაიხსნა შუახევის რაიონის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატები მკაფიოდ მოწმობენ იმ საწარმოო წარმატებებს, რომლებსაც მიაღწიეს რაიონის მოწინავე არტელებმა საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში.

რაიონის ბევრმა კოლმეურნეობამ თამბაქოს უხვი მოსავალი მოიყვანა. მათ შორის არის სოფელ ნენიის საბჭოთა არმიის სახელობის კოლმეურნეობა. საშუალოდ ჰექტარზე აქ მიღებულია 20,7 ცენტნერი თამბაქო, ხოლო ხ. მიქელაძის ბრიგადის ნაკვეთზე — 27 ცენტნერი თამბაქო.

მოწინავე კოლმეურნეობებმა გეგმით გათვალისწინებული 18 ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანეს 30 და მეტი ცენტნერი სიმინდი. ანალოგიური წარმატებებია მიღწეული კარტოფილის მოსავლიანობის გადიდებაშიც. კოლმეურნეობა „კოლექტიურმა შრომამ“ საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანა 180 ცენტნერი, ხოლო მაღალმოსავლიან ნაკვეთებზე — 250 ცენტნერი კარტოფილი. საშუალოდ ჰექტარზე 90 ცენტნერი ყურძენი მოკრიფეს სოფელ ჩვანის სტალინის სახელობის, სოფელ შუახევის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებმა.

რაიონში პირველად ფართოდ ვითარდება მეხოსტნეობა და მებაღჩეობა. ბევრმა კოლმეურნეობამ პამიდორის, ბადრიჯნის, საზამთროს, კიტრისა და სხვა ბოსტნეულ-ბაღჩეულის უხვი მოსავალი მოიყვანა. მთლიანად რაიონში კოლმეურნეობათა შემოსავალი ბოსტნეულ-ბაღჩეულისაგან შარშანდელთან შედარებით ერთნორად გადიდდა და ნახევარ მილიონ მანეთს მიაღწია.

პირველ დღეს გამოფენა დაათვალიერა ათასზე მეტმა კაცმა.

სტუდენტთა საერთაშორისო დღე

ამას წინათ ერთი ამერიკელი ჟურნალისტი ასე წერდა ჩვენი დროის ჭაბუკებსა და ქალიშვილებზე: „ხელიდან წასული თაობაა, რომელიც არაფრისათვის არ იბრძვის, არ გრძნობს პასუხისმგებლობას, არ ფიქრობს მომავალზე და ჭამის, ჩაცმისა და გართობის გარდა არაფერი არ სურს“.

რა დამახინჯებაა სინამდვილისა, რა აშკარა და უხვში ცილისწამებაა!

ეს ხომ იმ ახალგაზრდებზეა ნათქვამი, რომლებიც ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში გმირულად სწირავდნენ თავს საყვარელი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ეს ხომ იმ ჭაბუკებსა და ქალიშვილებზეა ნათქვამი, რომლებიც არანაკლებ მამაცურად გამოდიან დღეს ომის წინააღმდეგ, მონობის წინააღმდეგ, უფიცობისა და უსიბარულო ცხოვრების წინააღმდეგ.

„თაობა, რომელიც არაფრისათვის არ იბრძვის“, — მოთქვამს ამერიკელი კალმის განგსტერი. ადამიანებს კი ახსოვთ 1942 წელს ჰიტლერელების მიერ დახვრეტილი ჩეხოსლოვაკიელი სტუდენტის, 19 წლის იაროსლავ ინდრუშეკის სიტყვები, რომელიც მან სიკვდილის წინ მისწერა მამას:

„მამა, შენ ხომ იცი, სიკვდილი ადვილია, როცა მთელი კაცობრიობის უკეთესი მომავლის იმედი გაქვს“.

ამ იმედით აღვსილი იგი თავაწეული ავიდა ეშაფოტზე. ამ იმედით განაგრძობს დღესაც ბრძოლას მსოფლიოს მილიონობით ახალგაზრდა, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია სტუდენტობას. ისინი ცხოვრობენ მებრძოლთა სისხლსავსე ცხოვრებით, მტკიცედ სწამთ თავიანთი გამარჯვების გარდუვალობა და ამ რწმენით აღნიშნავენ კიდევ დღევანდელ დღეს — სტუდენტთა საერთაშორისო დღეს.

ამ დღეს მთელი მსოფლიოს სტუდენტი ახალგაზრდობა ერთხელ კიდევ გამოხატავს თავის მხურვალე მისწრაფებას მეგობრობისა და მშვიდობისაკენ, მტკიცე გადაწყვეტილებას — ბოლომდე იბრძოლოს ნათელი ცხოვრებისათვის, ბედნიერი სიჭაბუკისათვის, სწავლისა და შრომის უფლებისათვის.

სოციალისტური სახელმწიფოს ახალგაზრდა მოქალაქეს წილად ხვდა უდიდესი ბედნიერება ცხოვრობდეს ქვეყანაში, სადაც სწავლის უფლება თვითეულის კუთვნილება გამხდარა. მისთვის გახსნილია სკოლები და სასწავლებლები, ინსტიტუტები და უნივერსიტეტები, კურსები და ლექტორიუმები. კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა უდიდესი მზრუნველობით ეკიდებიან ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა თაობის სწავლისა და აღზრდის საქმეს, სსრ კავშირში ახლა ცხრაასამდე უმაღლესი სასწავლებელია, სადაც მილიონნახევარზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი ეუფლება კულტურისა და მეცნიერების უდიდეს მიღწევებს.

ფართოდ გაიღო უმაღლესი სასწავლებლების კარი მშრომელთა შვილებისათვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებში. მუშებისა და გლეხების შვილები, რომლებისთვისაც არც თუ ისე დიდი ხნის წინ მეცნიერება მიუწვდომელი იყო, მთელი გატაცებით დაეუფლნენ ცოდნას.

სტუდენტთა საერთაშორისო დღეს საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული ქვეყნების სტუდენტები თავიანთ მხურვალე სოლიდარობას გამოხატავენ კაპიტალის ქვეყნების ჭაბუკებისა და ქალიშვილების მიმართ, რომლებიც მამაცურად იბრძვიან ცხოვრების აუტანელი პირობების წინააღმდეგ. სტიპენდიის უქონლობა, უზნაობა, სწავლის დიდი ქირა ცოდნის დაუფლების თითქმის ყოველგვარ საშუალებას უსპობს მათ. ამერიკის პროგრესული ახალგაზრდობა სულ უფრო მტკიცედ და მედგრად იმაღლებს ხმას იმ სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც თავს მოიხვია მათს სამშობლოს ამერიკის მთავრობამ. „ჩვენი ქვეყანა ახალგაზრდა და ძლიერია, მაგრამ თავისი საუკეთესო სიმღერა მას ჯერ კიდევ არ უმღერია!“ — ნათქვამია ამერიკელ სტუდენტთა ერთ-ერთ სიმღერაში.

ეს რწმენა საკავშირო ახალგაზრდა ბელადებმა ჩეხოსლოვაკიის ხალხის ხელისუფლებამ ... ნენებს ამერიკის პროგრესულ ახალგაზრდობას ფაშიზმის წინააღმდეგ, ომის ... დიბისა და ... ...

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესია

სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 13 ნოემბერი. (საკადესი). სპეციალური პოლიტიკური კომიტეტი განაგრძობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების საკითხის განხილვას.

კომიტეტის გასასხილველად წარდგენილია არგენტინის, ინდოეთის, კუბისა და სალვადორის დელეგაციათა ერთობლივი რეზოლუციის პროექტი, რომელიც მოითხოვს, რომ უკანვე გაეგზავნოს უშიშროების საბჭოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღების განცხადებანი, რომლების გამო არ არის მიღებული გადაწყვეტილებანი, აგრეთვე სრული ანგარიში გენერალური ასამბლეის ამ სესიაზე წარმოებული დისკუსიისა, რათა ისინი შემდგომ განიხილოს საბჭომ და წარმოადგინოს დადებითი რეკომენდაციები. ამასთანავე რეზოლუციის პროექტი ითვალისწინებს, რომ ახალ წევრთა მიღების „კეთილი სამსახურის“ კომიტეტმა, რომელიც შედგება პერუს, ეგვიპტისა და ჰოლანდიის წარმომადგენელთაგან, განაგრძოს მუშაობა და უშიშროების საბჭოსთან ერთად განახორციელოს ღონისძიებანი ამ საკითხის გადასაწყვეტად და გენერალურ ასამბლეას წარუდგინოს მოხსენება ამ მუშაობის შედეგების შესახებ შემდეგ სესიაზე და, ყოველ შემთხვევაში, მის მეათე მორიგ სესიაზე.

გარდა ამ რეზოლუციის პროექტისა კომიტეტის განსახილველად შეიტანეს აგრეთვე არგენტინის, კუბისა და სალვადორის დელეგაციათა რეზოლუციის პროექტი, რომელიც მოითხოვს, უშიშროების საბჭომ ცნობად მიიღოს, რომ ავსტრია, ირლანდია, იტალია, ლიბია, ნეპალი, პორტუგალია, ფინეთი, იორდანია, ცეილონი და იაპონია აკმაყოფილებენ წესდების მოთხოვნებს და მიღებულ უნდა იქნან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად. ეს პროექტი ასახავს ახალ წევრთა მიღებისადმი ცალმხრივ მიდგომას, რასაც უკვე დიდი ხანია ახორციელებენ დასავლეთის სახელმწიფოები, გამორიცხავენ რა ისეთ დემოკრატიულ ქვეყნებს, როგორიც არიან ალბანეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა და რუმინეთი. ასეთი პროექტი, როგორც ეს აღნიშნეს მთელმა რიგმა დელეგატებმა, ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალობის პრინციპს და ასახავს ფავორიტიზმის პოლიტიკას ზოგიერთი სახელმწიფოსადმი, რომელთა მიღებასაც დაჟინებით მოითხოვენ დასავლეთის სახელმწიფოთა დელეგაციები, და დისკრიმინაციის პოლიტიკას სხვა სახელმწიფოებისადმი, რომელთა მიღების წინააღმდეგი არიან ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და სხვა ქვეყნები. დასავლეთის სახელმწიფოთა ასეთი პოზიცია სამართლიანად გააკრიტიკეს ინდოეთის, ინდონეზიის, სირიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის დელეგაციებმა.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა მოაგონა სხდომის, რომ სსრ კავშირის დელეგაციამ კომიტეტის განსახილველად შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ გენერალურმა ასამბლეამ სთხოვოს უშიშროების საბჭოს კვლავ განიხილოს ალბანეთის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ფინეთის, იტალიის, პორტუგალიის, იორდანიის, ირლანდიის, ავსტრიის, ცეილონის, ნეპალისა და ლიბიის განცხადებანი იმ მიზნით, რომ გამოიტანოს რეკომენდაციები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად ყველა ამ სახელმწიფოს ერთდროულად მიღების შესახებ, რეზოლუციის ეს პროექტი შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალობის პრინციპს და საყვარელ ეთანხმება წესდების დებულებებს. საბჭოთა რეზოლუციის პროექტის მიღება საშუალებას მისცემს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას აღმოფხვრას ის არანორმალური მდგომარეობა, რომელშიც ორგანიზაცია იმყოფება ამ საკითხის გამო.

ამასთანავე, განაცხადა შემდეგ ა. ა. სობოლევმა, საბჭოთა კავშირის დელეგაცია, ითვალისწინებს რა მოსაზრებებს, რომლებიც ზოგიერთმა დელეგატმა გამოთქვა 14 სახელმწიფოს მიღების შესახებ რეზოლუციის პროექტის გამო, მზად არის სხვა კომპრომისული წინადადება შეიტანოს, თუ ასეთი წინადადება ხმის საჭირო უმრავლესობას მიიღებს, სახელდობრ: წინადადება, რომ ერთდროულად მიღებულ იქნან ბულგარეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ფინეთი და იტალია. როგორც ცნობილია, სახელმწიფოებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს აღნიშნულ ქვეყნებთან საზავო ხელშეკრულებებს, გალდებულება იკისრეს მხარი დაუჭირონ მათს თხოვნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღების შესახებ.

საბჭოთა კავშირის დელეგაცია, ხაზგასმით აღნიშნა ა. ა. სობოლევმა, მზად არის ყოველი ღონე იხმაროს, რათა გაგრძელდეს ისეთი გზების გამონახვა, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი პრობლემა თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით გადაიჭრას. საბჭოთა დელეგაცია იზიარებს მეტი წილი დელეგაციების მიერ კომიტეტში გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ საჭიროა გაგრძელდეს „კეთილი სამსახურის“ კომიტეტის მუშაობა, აგრეთვე უშიშროების საბჭოში ამ საკითხის შემდგომი განხილვის შესახებ. ეს საერთო სურვილი ჩამოყალიბებულია რეზოლუციის პროექტში, რომელიც წარმოადგინეს არგენტინის, ინდოეთის, კუბისა და სალვადორის დელეგაციებმა. ამიტომ სსრ კავშირის დელეგაცია ხმას მისცემს რეზოლუციის ამ პროექტს.

ა. ა. სობოლევმა აგრეთვე განაცხადა, რომ ავსტრალიის, პაკისტანისა და ტაილანდის დელეგაციების წინადადებას ლაოსისა და კამბოჯის მიღების შესახებ სსრ კავშირის დელეგაცია მხარს ვერ დაუჭერს, რადგან როგორც ეს მთელმა რიგმა დელეგაციებმა აღნიშნეს, მიზანშეწონილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად ამ ქვეყნების მიღების საკითხის განხილვა გადაიდოს, სანამ მთლიანად არ განხორციელდება მთელი ინდოჩინეთის პრობლემის პოლიტიკური მოწესრიგება ჟენევის თათბირზე მიღწეულ შეთანხმებათა შესაბამისად.

დისკუსიის მსვლელობაში ბევრმა დელეგატმა გამოთქვა აზრი, რომ არგენტინის, ინდოეთის, კუბისა და სალვადორის რეზოლუციის პროექტმა, რადგან მისი მიზანია გაადვილდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების პრობლემის გადაჭრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალობის სულისკვეთებით, პირველს უყარონ კენჭი. კერძოდ, ამის სასარგებლოდ გამოთქვეს აზრი პოლონეთის, სირიის, ჩეხოსლოვაკიის, ჰაიტის, იუგოსლავიის წარმომადგენლებმა და სხვებმა. ინდოეთის წარმომადგენელმა შეიტანა ფორმალური წინადადება, რომ კენჭისყრის დროს პრიორიტეტი მიენიჭოს არგენტინის, ინდოეთის, კუბისა და სალვადორის რეზოლუციის პროექტს. მიუხედავად ზოგიერთი დელეგაციის, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, ავსტრალიის, საფრანგეთის, ინგლისისა და სხვა დელეგაციათა ღონისძიებებისა ხელი შეეშალათ ასეთი წინადადების მიღებისათვის, ინდოეთის წინადადება სხდომამ მიიღო.

ამრიგად პირველს კენჭი უყარეს არგენტინის, ინდოეთის, კუბისა და სალვადორის დელეგაციათა რეზოლუციის პროექტს. რეზოლუციის პროექტი ერთხმად მიიღეს.

ამის შემდეგ ინდოეთისა და ინდონეზიის დელეგაციებმა შეიტანეს რეზოლუციის პროექტი, რომელიც მოითხოვს უშიშროების საბჭოს გადაიცეს ყველა დანარჩენი პროექტი რეზოლუციებისა და შესწორებათა პროექტები, რომლებიც სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში შეიტანა სხვადასხვა დელეგაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების საკითხზე. ამ წინადადების განხილვა გადაიდო სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის შემდეგი სხდომისათვის, რომელიც 15 ნოემბერს გაიმართება.

საფრანგეთის მხარე აკავებს სამხედრო ჭყვეებსა და ინჭერნირებულ სამოქალაქო პირებს

ვიეტნამის სახალხო არმიის დელეგაციის მეთაურის წერილი

შანხაი, 14 ნოემბერი. (საკადესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის დელეგაციის მეთაურმა შერეულ კომისიაში გენერალმა ვან ტიენ დუნგმა მეთვალყურეობისა და კონტროლის საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარეს გუფბვანა წერილი, რომელიც თითქოს ტყვედ წაიყვანეს ლაოსში.

თანახმად ზემოაღნიშნული ცნობებისა, საფრანგეთის კავშირის შეიარაღებული ძალები ჯერ კიდევ აკავებენ 7.107 სამხედრო ტყვეს, რომლებიც აღნიშნული არიან ვიეტნამის სახალხო არმიის მიერ 1954 წლის 26 აგვისტომდე გადაცემულ სიებში. მაგრამ, ამ სიებში არ არის ბევრი სამხედრო ტყვის გვარი, რომლებიც შეიპყრეს საფრანგეთის კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა წიანთ და ჯერ კიდევ აკავებენ. ვიეტნამის სახალხო არმიის დელეგაცია 1954 წლის 1 სექტემბრიდან 9 ნოემბრამდე ანგარიშობდა 3.326 სამხედრო ტყვეს, რომლებიც, როგორც ოფი მოითხოვს, საფრანგეთის მხარემ უნდა მოძებნოს და გაათავისუფლოს.

თანახმად არსებული ცნობებისა, საფრანგეთის კავშირის შეიარაღებული ძალები ჯერ კიდევ აკავებენ 453 კაცს საპყრობილეებში კუნძულ პულო-კონდორზე, ქია-დინის, ტრა-ვინის, მიტოს (სამხრეთი ვიეტნამი) და სხვა პროვინციებში. საფრანგეთის მხარეს განზრახული აქვს მთელი რიგი პოლიტიკური პატიმრები გადაიყვანოს ჩვეულებრივ საპყრობილეებში, რათა არ გაათავისუფლოს ისინი. ამავე დროს საფრანგეთის კავშირის შეიარაღებული ძალები თავს ესხმიან ცენტრალური ვიეტნამის სამხრეთი ნაწილის მეხუთე ზონას და სამხრეთ ვიეტნამს და აპატიმრებენ პატრიოტებს, რომლებმაც მონწილეობა მიიღეს წინააღმდეგობის ომში.

დასასრულ გენერალი ვან ტიენ დუნგი წერს: მშვიდობის ალდგინის შემდეგ პატიმართა ნაწილი განთავისუფლებულია, ხოლო ნაწილს ჯერ კიდევ აკავებენ, მაშინ როდესაც ბევრ სხვა პირს აპატიმრებენ და საპყრობილეებში ამწყდეულენ. ვიმედოვნებთ, რომ მეთვალყურეობისა და კონტროლის საერთაშორისო კომისია განიხილავს ამ საკითხს ისე, რომ დაკავებულ პირთ, ბოლოს და ბოლოს, მიეცეთ თავისუფლება.

ჩანკაიშეკ პროვოკაციორებს გადამწყვეტ წინააღმდეგობას უწევენ

პეკინი, 15 ნოემბერი. (საკადესი). სინხუას სააგენტოს ცნობით, ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის საზენიტო ნაწილებმა ფუქიანის ფორტზე უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში 3 ნოემბრამდე ჩამოაგდეს ან დააზიანეს ჩანკაიშელთა 88 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ჩინეთის ტერიტორიაზე თავდასხმაში.

ამავე ხნის განმავლობაში დააზიანეს ჩანკაიშელთა 3 საესკადრო ნაღმისანი და ჩაძირეს ერთი საკანონერო ნავი, ერთი სატრანსპორტო გემი და ერთი ბუქსირი. გარდა ამისა, დაანგრიეს პონტონის ნავმისადგომი.

დაანგრიეს აგრეთვე ჩანკაიშელთა ოთხი საკომანდო საგუშაგო კუნძულ კუემოიზე, მთელი რიგი ბატარიების საარტილერიო პოზიციები, მოსპეს 11 საარტილერიო ქვემეხი და 6 ბაკჰაუზი. სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სანაპირო თავდაცვის არტილერიის ნაწილებმა ამავე ხნის განმავლობაში 47-ჯერ დაუშინეს არტილერიის ცეცხლი კუნძულებს კუემოისა და მცირე ფუემოის.

ნაგიბის გადაყენების გამო

ლონდონი, 15 ნოემბერი. (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტმა კაიროდან გადმოსცა, „ხელმძღვანელი რევოლუციური საბჭოს“ წარმომადგენელმა გუშინ განაცხადა, რომ ნასერის მთავრობა დაუყოვნებლივ დაიწყებს იმის გამოძიებას, თუ რა ურთიერთობა ჰქონდა აკრძალულ „მუსლიმანთა ძმობასთან“ გადაყენებულ პრეზიდენტ ნაგიბს. „თუ აღმოჩნდა საკმაო დამამტკიცებელი სბუთები, — თქვა მან, — ნაგიბის წინააღმდეგ აღძრულ იქნება ბრალდება და იგი წარსდგება სასამართლოს წინაშე“.

კაიროს ქუჩებს პატრულობენ პოლიციის გაძლიერებული რაზმები, რომლებიც მზად არიან ჩაახშონ ყოველგვარი დემონსტრაცია გენერალ ნაგიბის გადაყენების წინააღმდეგ.

ლონდონი, 16 ნოემბერი. (საკადესი). ლონდონის რადიომ გადასცა ეგვიპტის „ხელმძღვანელი რევოლუციური საბჭოს“ განცხადება. განცხადებაში გადაყენებულ პრეზიდენტ ნაგიბს ბრალად ედება, რომ მან საშუალება მისცა „კომუნისტებს“ და „მუსლიმანთა ძმობას“ გამოეყენებინათ იგი როგორც იარაღი ნასერის მთავრობის დამხობის ცდებისათვის. განცხადებაში ამტკიცებენ, რომ ყოფილი პრეზიდენტი თითქოს მონაწილეობდა მთავრობის საწინააღმდეგო ყველა შეთქმულებაში მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრი აღარ იყო.

ირანული გაზეთი მოსადიკის ახალი გასამართლების მზადების შესახებ

თეირანი, 15 ნოემბერი. (საკადესი). გაზეთი „ფერმანი“ იუწყება, რომ 10 ნოემბრიდან სამხედრო სასამართლო ორგანოებმა კვლავ დაიწყეს მოსადიკის დაკითხვა. იგი თითქოს დაკავშირებული იყო იმ ოფიცრებთან, რომლებიც დაპატიმრეს და გასამართლეს ოპოზიციური მოღვაწეობისათვის.

თბილისი

ქალაქის ქრონიკა



თბილისის ცირკში ამჟამად წარმატებით გამოდის ბოშათა ჯგუფი ი. ბრესლერის ხელმძღვანელობით. სურათზე: ბოშა ქალი გ. ლეონტიენკო.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ხელოვნების ქრონიკა

გაიხსნა სეზონი ოპერისა და ბალეტის თეატრში

გუშინ, 16 ნოემბერს, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში დაიწყო ახალი სეზონი.

სეზონი გაიხსნა ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერით“. დირიჟორობდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი ო. დიმიტრიადი, დადგმა ეკუთვნის რსფსრ და საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს სტალინური პრემიის ლაურეატს ი. თუმანიშვილს, მხატვრობა — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სტალინური პრემიის ლაურეატს ს. ვირსალაძეს, ცეკვების დადგმა — სსრ კავშირის სახალხო არტისტს, სტალინური პრემიის ლაურეატს ვ. ჭაბუკიანს.

მონაწილეობდნენ ზ. ანჯაფარიძე (აბესალომი), თ. თაქთაქიშვილი (ეთერი), სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი პ. ამირანაშვილი (მურმანი), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი გ. გრიგორაშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტები ნ. ხარაძე და ნ. ცომაია, მსახიობები რ. გელოვანი, მ. გაბუნია, გ. ტორონჯაძე, მ. ცაგურია, შ. მეძველია და სხვები.

მომავალი მსახიობები კოლმეურნეებთან

საქართველოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის კოლექტივი შეიფობას უწევს სოფელ წყნეთის კოლმეურნეებს. ამ დღეებში ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატმა თ. კოსტანაშვილმა წყნეთში წაიკითხა ლექცია საინტერესო თემაზე, ხოლო ლექციის შემდეგ სტუდენტების მონაწილეობით გაიმართა კონცერტი.

შეხვედრა თვითმოქმედ კოლექტივთან

ნავთლუღის რკინიგზის კავშირის კლუბში გაიმართა რკინიგზელთა შეგვედრა საქართველოს სარეწაო საბჭოს კულტურის სახლის ქართულ თეატრალურ კოლექტივთან, რომელმაც მათ აჩვენა ლ. კუბაბრიას პიესა „კარგი ამხანაგი“.

თბილისიდან გაემგზავრა გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია

ექვს დღეს დაჰყო თბილისში გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციამ ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ ვალტერ ნოიეს მეთაურობით, რომელიც სტუმრად არის საბჭოთა კავშირში უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოების მოწვეეთ.

16 ნოემბერს დელეგაცია მოსკოვს გაფრინდა. (საკადესი).

სამეცნიერო კონფერენცია კურორტოლოგიის საკითხებზე

18-20 ნოემბერს საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში მოწვეულია აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტების გაერთიანებული სამეცნიერო კონფერენცია ამ რესპუბლიკების საკურორტო რესურსების შესწავლის საკითხებზე.

კონფერენციაზე განხილულ იქნება ისეთი საკითხები, როგორიც არის სომხეთის ჰიდრომინერალური რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები, საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტების გაერთიანებული სამეცნიერო კონფერენცია ამ რესპუბლიკების საკურორტო რესურსების შესწავლის საკითხებზე.

კონფერენციაზე განხილულ იქნება ისეთი საკითხები, როგორიც არის სომხეთის ჰიდრომინერალური რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები, საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტების სამეცნიერო სამდიდრეები, აზერბაიჯანის კლიმატურ-balneოლოგიური რესურსები, სომხეთის სსრ ტორფის საბადოები, მინერალური წყლები და იონების აქტივობა და სხვ., სულ 30-ზე მეტი მოხსენება.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ მოძმე სომხეთის და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკებისა და საქართველოს მეცნიერები — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ა. გროსმანი, პროფესორები დ. ჯავახიშვილი, შ. გასანოვი, ტ. ფაშაევი, ს. მირზოიანი, ა. ოჭინიკოვი, დ. ერისთავი, ფ. თავაძე, დოცენტები ს. ჭეშმარიტიანი, მ. ნოდია, ა. ნერსესიანი, გეოლოგები მ. ფალავა, ნ. კოტრიკაძე და სხვ.

თბილისის პირველობის ნახევარფინალი ჭადრაკში

ნახევარფინალური შეჯიბრება ჭადრაკში თბილისის პირველობაზე ერთ-ერთ მასობრივ ასპარეზობას წარმოადგენდა. გათამაშებაში მონაწილეობდა 65 პირველ და მეორე თანრიგოსანი მოჭადრაკე.

ჯგუფებში გამარჯვება და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს: ე. სიმონიანმა, ს. კიკალიძე, ა. ოგანეზოვმა, ი. კლიაციკინმა, ი. სვანიძემ, დ. ჯანოევმა, დ. ვაშაკიძემ, შ. ინწკირველმა, გ. კალატოზიშვილმა და ტ. არუთინოვმა.

ფინალური შეჯიბრება დაიწყება 1955 წლის 20 იანვრიდან.

ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით, 18 და 19 ნოემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ წვიმა. ცვალებადი მიმართულების ზომიერი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 4-9, დღისით 16-21 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 0-5, დღისით 9-14 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, დასავლეთ რაიონებში ალაგ-ალაგ წვიმა, აღმოსავლეთ რაიონებში უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ზომიერი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 1 გრადუსი ყინვა — 4 გრადუსი სითბო, დღისით 15-20 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 3 გრადუსი ყინვა — 2 გრადუსი სითბო, დღისით 9-14 გრადუსი სითბო.

რედაქტორი ნ. ჯაში.

მეურვეობის კომიტეტში

ნიუ-იორკი, 13 ნოემბერი. (საკადესი). მეურვეობის კომიტეტმა დაამთავრა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის საკითხთა ქვეკომიტეტის მოხსენების განხილვა. ცნობილია, რომ, მიუხედავად გენერალური ასამბლეის სხვადასხვა სესიაზე მიღებული მრავალი რეზოლუციისა, სამხრეთ აფრიკის კავშირი კვლავ უარს ამბობს დაუქვემდებაროს სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის ტერიტორია საერთაშორისო მეურვეობას. კონფლიქტური ქვეყნები სხვადასხვა მანეერის საშუალებით ყოველნაირად ცდილობენ მხარი დაუჭირონ სამხრეთ აფრიკის კავშირის ამ პოზიციას. მაგალითად, გენერალური ასამბლეის ახლანდელი მეცხრე სესიის დასაწყისში ამ ქვეყნებმა მიაღწიეს იმას, რომ მეურვეობის კომიტეტმა შეწყვიტა ამ საკითხის განხილვა და შექმნა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის საკითხთა ქვეკომიტეტი, რათა შეემუშავებინა შეკითხვა საერთაშორისო სასამართლოსადმი, რომ მას მოეცა კონსულტაციური დასკვნა, აქვს თუ არა უფლება გაერთიანებული ერების ორგანიზაციას განიხილოს და გამოიტანოს გადაწყვეტილებანი ამ ტერიტორიის შესახებ მოხსენებათა და პეტიციათა გამო. სწორედ ეს წინადადება ჩამოაყალიბა ქვეკომიტეტმა. გარდა ამისა, მოხსენება მოითხოვს აგრეთვე შეკითხვა გაეგზავნოს სასამართლოს, რომ გამოთქვას თავისი აზრი — თუ მისი დასკვნა დადებითი იქნება, — რა უმრავლესობით — ორი მესამედით თუ უბრალო უმრავლესობით უნდა მიიღოს გენერალურმა ასამბლეამ გადაწყვეტილება სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის შესახებ.

მეურვეობის კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე გამოსულმა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. მ. კუჩკაროვმა აღნიშნა, რომ სრულიადაც არ არის საჭირო შეიქმნას სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის საქმეთა კომიტეტი ან ქვეკომიტეტი. მან აღნიშნა, რომ გენერალური ასამბლეის VIII სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციამ ხმა მისცა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის საკითხთა კომიტეტის დაარსების წინააღმდეგ, რადგან მხედველობაში ჰქონდა, რომ საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მტკიცედ დაცვა. საბჭოთა დელეგაცია იმის წინააღმდეგი იყო და არის, რომ შეიქმნას სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის საკითხთა რაიმე ქვეკომიტეტი, რამდენადაც არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, რომელიც საშუალებას აძლევს გენერალურ ასამბლეას მოსთხოვოს სამხრეთ აფრიკის კავშირს დაუქვემდებაროს სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ტერიტორია საერთაშორისო მეურვეობას. შეეხო რა ქვეკომიტეტის წინადადებას — მიმართონ საერთაშორისო სასამართლოს სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის შესახებ, ა. მ. კუჩკაროვმა განაცხადა, რომ, სსრ კავშირის დელეგაციის აზრით, ეს სრულიადაც არ არის საჭირო, რადგან არის მხოლოდ ერთი საკითხი, რომ სამხრეთ აფრიკის კავშირი უარს ამბობს დაუქვემდებაროს სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ტერიტორია საერთაშორისო მეურვეობას და ეს საკითხი უნდა გადაიტრას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საფუძველზე.

კენჭისსაყრელად დასმულმა ქვეკომიტეტის წინადადებამ იმის შესახებ, რომ ეთხოვოს საერთაშორისო სასამართლოს კონსულტაციური დასკვნა, მიუხედავად კოლონიური ქვეყნების წარმომადგენლებისა და მათი მომხრე დელეგაციების მეცადინეობისა, ვერ მიიღო ხმების უმრავლესობა და იგი უარყოფილ იქნა. ამ წინადადების წინააღმდეგ ხმა მისცა 18 დელეგაციამ, მათ შორის სსრ კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უკრაინის სს რესპუბლიკის, ბელორუსიის სს რესპუბლიკის, იუგოსლავიის, ინდონეზიის, ჩილისა და სხვათა დელეგაციებმა. ქვეკომიტეტის წინადადებას ხმა მისცა 18 დელეგაციამ, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, ავსტრალიის, საფრანგეთის. ინგლისისა და სხვა დელეგაციათა ღონისძიებებისა ხელი შეეშალათ ასეთი წინადადების მიღებისათვის, ინდოეთის წინადადება სხდომამ მიიღო.

ამრიგად პირველს კენჭი უყარეს არგენტინის, ინდოეთის, კუბისა და სალვადორის დელეგაციათა რეზოლუციის პროექტს. რეზოლუციის პროექტი ერთხმად მიიღეს.

ამის შემდეგ ინდოეთისა და ინდონეზიის დელეგაციებმა შეიტანეს რეზოლუციის პროექტი, რომელიც მოითხოვს უშიშროების საბჭოს გადაეცეს ყველა დანარჩენი პროექტი რეზოლუციებისა და შესწორებათა პროექტები, რომლებიც სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში შეიტანა სხვადასხვა დელეგაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების საკითხზე. ამ წინადადების განხილვა გადაიდო სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის შემდეგი სხდომისათვის, რომელიც 15 ნოემბერს გაიმართება.

საავალდებულო გადაწყვეტილება № 2536

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა

1954 წლის 27 ოქტომბერი

1954-1955 წ. თბილისის სეზონის პერიოდში ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა დაცვის შესახებ

ზამთარში თბილისის სეზონის პირობებში ქალაქის სახალხო მეურნეობის ობიექტებისა და საცხოვრებელი სახლების სახანძრო უშიშროების დროზე უზრუნველყოფის მიზნით თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა:

1. დაევალოს საწარმოთა, დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, საქალაქო და რაიონული საბინაო სამმართველოების უფროსებს, სახლმმართველებს, საუწყებო სახლებისა და საერთო საცხოვრებლების კომენდანტებს და სახლების პირად მესაკუთრეებს 1954 წლის 20 ნოემბრამდე უზრუნველყონ შემდეგი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება:

ა) შეამოწმონ და დაამთავრონ ცენტრალური გათბობისა და ღუმელებით გათბობის საჭირო რემონტი, წესრიგზე მოიყვანონ ქვაბები და საქვაბე სათავსოები, დაამბურნონ მილები და ხელსაწყოები ისეთ ადგილებში, სადაც ისინი შეიძლება გაიყინონ, მოახდინონ შენობის ხის ნაწილებთან ახლო (10 სმ ნაკლებ მანძილზე) განლაგებული რადიატორებისა და მილების იზოლაცია ასბესტით ან თიხის ხსნარში გაჟღენთილი ქეჩით;

ბ) შეამოწმონ კვამლსადენები და ალიბეჭეები, გაწმინდონ ისინი ჭვარტლისაგან, ამოლესონ ჭუჭრუტანები, აღადგინონ ჩამოცვივნული შეალესები, შეათეთრონ და დანომრონ საკვამლე დგარმილები;

გ) შეამოწმონ, არის თუ არა და რა ზომისაა კვამლსადენების ჰორიზონტალური ძგიდეები იმ ადგილებში, სადაც კვამლსადენები სხვენისა და სართულთშორის გადახურვებში გადის. ძგიდის ზოლა კვამლსადენიდან შენობის ხის კონსტრუქციებამდე უნდა იყოს არანაკლებ 38 სანტიმეტრისა, ხოლო სახურავის ხის ლარტყულები კვამლსადენის გარშემო შემოჭრილი უნდა იყოს 10 სანტიმეტრზე;

დ) შეამოწმონ, არის თუ არა ნაპერწკალსაჭერი ხუფები საქვაბეების კვამლსადენებზე, და სადაც ისინი არ არის, დაადგმევინონ;

ე) შეამოწმონ და უზრუნველყონ, რომ ხის იატაკებზე ღუმელების წინ იყოს თუნუქის ფურცლები;

ვ) წესრიგზე მოიყვანონ ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, დაამბურნონ ღია ადგილებში დადგმული ჰიდრანტები, სახანძრო ონკანები და ქიმიური ცეცხლსაქრობები;

ზ) უზრუნველყონ სათბობის დაწყობა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, არ დაუშვან მისი შენახვა საერთო სარგებლობის ადგილებში;

თ) იქონიონ სახანძრო-საკონტროლო ჟურნალი კვამლსადენებისა და გასათბობი ხელსაწყოების გაწმენდისა და რემონტის აღსანიშნავად.

2. მილ-ღუმელის სამშენებლო ტრესტმა და ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების მილ-ღუმელის რაზმმა თბობის სეზონის დასაწყისისათვის (ნოემბერი) დაამთავროს სათბობი ხელსაწყოებისა და კვამლსადენების შეკეთება ორგანიზაციების, სახლმმართველობებისა და სახლების პირადი მესაკუთრეებისაგან შემოსული სადეფექტო აქტების — განაცხადების შესაბამისად.

3. აიკრძალოს ქ. თბილისის საწარმოთა და დაწესებულებათა უკლებლივ ყველა შენობაში, აგრეთვე საცხოვრებელ სახლებში;

ა) უწესივრო სათბობ და სახურებელ ხელსაწყოთა ექსპლოატაცია;

ბ) დროებითი ღუმელების დადგმა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის რაიონული ინსპექციების უნებართვოდ.

4. ამ საავალდებულო გადაწყვეტილების, აგრეთვე სახანძრო უშიშროების დადგენილი წესებისა და მოთხოვნების დარღვევის ან შეუსრულებლობისათვის დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სახლების მმართველები, საუწყებო სახლებისა და საერთო საცხოვრებლების კომენდანტები, აგრეთვე სახლების პირადი მესაკუთრენი, ზემდგომი ორგანოების დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების მიერ დაჯარიმდებიან 300-მდე მანეთით, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიცემულ იქნებიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

5. კონტროლი ამ საავალდებულო გადაწყვეტილების შესრულებისადმი დაეკისროს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს ქ. თბილისის სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის რაიონულ ინსპექციებს.

6. ეს საავალდებულო გადაწყვეტილება ძალაში შედის 10 დღეში მისი გამოქვეყნების დღიდან.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ეკიტაშვილი.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი შ. ბაძრაძე.